საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუთბერიძე ლევან ჯუანშერის ძე

თუთბერიძე ლევან ჯუანშერის ძე (დ. 4. XII. 1959, თბილისი), კინორეჟისორი, მსახიობი, პროდიუსერი. 1982 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის კინოფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1978, გადაიღო დოკუმენტური ფილმი „თუშური ყველი" (პრიზი კიევის კინოფესტივალზე საუკეთესო დოკ. ფილმისათვის, 1980). მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია შემდეგი ფილმები: „გასეირნება ყარაბაღში" (ა. მორჩილაძის რომანის „მოგზაურობა ყარაბაღში" მიხედვით, 2005; გრან-პრი დსთ-ის და ბალტიის ქვეყნების ღია ფესტივალ „კინოშოკზე" და არაერთი პრიზი სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე. „ცხრა მთას იქით" (2013, „ოქროს ჟასმინი", საუკეთესო ფილმისათვის, საერთაშ. კინოფესტივალი „ჟასმინი", ირანი, 2015), „მოირა" [კომუნიკაციების მსოფლიო კათოლ. ასოციაციის პრიზი სან-სებასტიანის (ესპანეთი) საერთაშ. კინოფესტივალზე, 2015 წარდგენილი იყო „ოსკარზე“ (აშშ-ის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო) ნომინაციით საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი და სხვ. გადაღებულია მხატვრულ ფილმებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული როლი – დიმიტრი II – რ. ხოტივარის ამავე სახელწოდების ფილმში (1982). ეწევა აქტიურ საზ. და პედ. მოღვაწეობას. 2009-იდან შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტის ასოც. პროფესორია. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით".

მ. კერესელიძე